საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასკანა

ასკანა, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის რეგიონი), ნასაკირალის სერის ჩრდ. კალთაზე, ბახვისწყლის მარჯვ. მხარეს, მდინარეებს ყურეფასა და გულეფას (სუფსის მარცხ. შენაკადები) შორის. თემის ცენტრი (სოფლები: ა., დაბალი ეწერი, მზიანი). ზ. დ. 360 მ, ოზურგეთიდან 17 კმ. 424 მცხ. (2014). სოფლის მიდამოებშია ბენტონიტური თიხის საბადოები. შუა საუკ. ასკანის ციხე და ეკლესია.